გურთიად
GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

26 Haziran / ივნისი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6671.9	10.1%	17.3 %	1.5%

Levan Davitashvili Mina'nın Yeni Fırınının Açılış Törenine Katıldı

ლევან დავითაშვილი „მინას“ ახალი სახარში ღუმლის გახსნის ცერემონიას დაესწრო

Başbakan Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Levan Davitashvili Şişecam Holding'in şirketi olan Mina'nın yeni fırınının açılış törenine katılmıştır.

Cam üretim tesisinde 19.4 milyon euro yatırımla fırınlardan birinin yenilenme ve yeni teknolojilerle donatma süreci başarıyla tamamlanmıştır. Şirket temsilcilerine göre, yatırım sürecinde "Gürcistan'da Üret" ajansının katılımı, vizyonu ve desteği son derece önemliydi.

Sn. Bakan'ın konuşmasında belirttiği gibi, Gürcistan ile Türkiye uzun yıllardır özellikle yakın ticari ve ekonomik ilişkilerine sahiptir ve bu ilişkilerin her geçen yıl artması tatmin edicidir.

Sn. Bakan ayrıca Gürcistan'daki yatırımcıları teşvik etmek için farklı farklı mekanizmaların iki ülke arasındaki ticari ilişkilerin derinleşmesine el vereceğine dair umutlarını dile getirmiştir.

"Şişecam" düz cam, züccaciye, cam ambalaj, otomotiv camı, cam elyafı, ayrıca sodium karbonat ve krom madenleri çıkarmasında küresel bir oyuncu olan, dünyanın en meşhur Türk şirketlerinden biridir. Şişecam cam ambalaj ve düzcam üretiminde dünyada ilk 5 firma arasında yer almaktadır.

İşletmede 240 kişi istihdam edilmekte, çoğu civar köylerden. Bunun dışında Mina 100'den daha fazla kişiye yarı-zamanlı istihdam etmektedir.

Mina Üretim sürecinde yerel doğal kaynaklardan edinen hammaddeleri kullanarak yerel işletmelerin gelişmesine katkıda bulunur.

Şirket uluslararası ölçekte faaliyet göstermesi ve 88 yıllık tecrübesiyle 24 000'den daha fazla elemanı bulundurur. Şirketin üretim faaliyeti dört kıtada, 14 ülkede 45 şubeyi, 150 ülkede ise satışları kapsar.

ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა „შიშეჯამ ჰოლდინგის“ წევრი „მინას“ ახალი სახარში ღუმლის გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

მინის ტარის მწარმოებელ ქართულ საწარმოში 19.4 მილიონი ევროს ინვესტირებით, წარმატებით დასრულდა საწარმოს ერთ-ერთი ღუმელის განახლების პროცესი და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვა. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, ინვესტიციის განხორციელების პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანი იყო სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ჩართულობა, ხედვა და მხარდაჭერა.

როგორც მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, საქართველოსა და თურქეთს შორის უკვე მრავალი წელია, განსაკუთრებით ახლო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებს და მისასალმებელია, რომ წლიდან წლამდე ეს ურთიერთობები სულ უფრო მზარდია.

მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში ინვესტორთა წახალისების სხვადასხვა მექანიზმები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავებას.

„შიშეჯამი“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თურქული საწარმოა მსოფლიოში, რომელიც გლობალური მოთამაშეა მინის წარმოების ისეთ ბიზნესმიმართულებებში, როგორებიცაა: ბრტყელი მინა, მინის ჭურჭელი, მინის შეფუთვა, საავტომობილო მინა, მინის ბოჭკოვანა, ასევე სოდა და ქრომის ქიმიკატების მოპოვება. `შიშეჯამი` მინის შეფუთვებისა და ბრტყელი მინის წარმოებაში მსოფლიოს მასშტაბით ხუთეულშია.

საწარმოში 240 ადამიანია დასაქმებული, მათ შორის უმრავლესობა ახლომდებარე სოფლებიდან. გარდა ამისა, „მინას“ მუდმივად ემსახურება 100-ზე მეტი ადამიანი პერიოდულ სამუშაოებზე.

წარმოების პროცესში „მინა“ ადგილობრივი ბუნებრივი რესურსებიდან მიღებულ ნედლეულსა და მასალებს იყენებს, რითაც ხელს უწყობს ადგილობრივი საწარმოების განვითარებას.

კომპანია საერთაშორისო მასშტაბის ოპერირებითა და თავისი 88 წლიანი გამოცდილებით 24,000-ზე მეტ თანამშრომელს აერთიანებს. მისი საწარმოო საქმიანობა მოიცავს 14 ქვეყანას ოთხ კონტინენტზე 45 ფილიალით და გაყიდვებს 150 ქვეყანაში.

Türkiye Cumhuriyeti Milli Güvenlik Kurulu Genel Sekreteri, Vali Seyfullah Hacımüftüoğlu'nun Gürcistan Ziyareti

თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გენერალური მდივნის, გუბერნატორ სეიფულლაჰ ჰაჯიმუფთუოღლუს ვიზიტი საქართველოში

Türkiye Cumhuriyeti Milli Güvenlik Kurulu Genel Sekreteri, Vali Seyfullah Hacımüftüoğlu Gürcistan'ı ziyaret etti. Sn. Hacımüftüoğlu Başbakan ve Bakanlar ile görüşmeler gerçekleştirdi:

Başbakan ile düzenlenen toplantıda iki ülke arasındaki stratejik ortaklık ve işbirliğinin ileriye dönük perspektiflere değinildi. Görüşmede belirtildiği gibi, hükümetler arasında mevcut ortaklığı daha da derinleştirip güçlendirmesi için hazırlık durumu sevindiricidir.

Türkiye tarafından Gürcistan'ın egemenliği, toprak bütünlüğü ve Avrupa-Atlantik entegrasyonuna verildiği desteğin Gürcistan tarafından takdir edildiğini vurgulandı.

İkili stratejik ortaklığın sadece siyasi ve ekonomik yönünde değil, güvenlik yönünde de derinleştirilmesinin önemli olduğunu kaydedildi.

Güvenlik alanında Gürcistan ile Türkiye arasındaki işbirliğine dikkat çekildi. Bölgenin istikrarlı ve sürdürülebilir kalkınmasının sağlanması açısından bu yöndeki etkileşimin daha da güçlendirilmesinin öneminin altını çizildi.

Hükümet İdaresinde düzenlenen toplantıya İç İşleri Bakanı Sn. Vakhtang Gomelauri ile T.C. Tiflis Büyükelçisi Sn. Ali Kaan Orbay da katılmışlardır.

Gürcistan İç İşleri Bakanı Sn. Vakhtang Gomelauri Sn. Seyfullah Hacımüftüoğlu ile bir görüşme gerçekleşti.

Görüşmede taraflar iki devlet arasındaki ortaklık ilişkilerinin öneminden bahsetmişlerdir. Sn. Vakhtang Gomelauri Gürcistan ve Türkiye Cumhuriyeti kolluk kuvvetleri arasındaki yoğun işbirliğine özel dikkat verip T.C. İçişleri Bakanlığı'nın Gürcistan İçişleri Bakanlığı'nın kabiliyetlerini geliştirilmesinde önemli bir rolünü vurguladı.

Görüşme çerçevesinde ayrıca iki devlet arasında sınır koruma alanında mevcut olan işbirliğine, suçla mücadele yönünde uygulanan tedbirlere, ve bu konuda işbirliğin ileriye dönük perspektiflerine de değinildi.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იმბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Görüşmenin sonunda Sn. Gomelauri meslektaşına Gürcistan ziyareti dolaysıyla teşekkür ederek taraflar arasındaki işbirliğinin ileride de aktif bir şekilde devam edilmesine dair umutlarını dile getirmişti.

Türkiye Milli Güvenlik Kurulu Genel Sekreteri Sn. Seyfullah Hacımüftüoğlu konuşma yapmış olduğu Gürcistan Siber Güvenlik Forumu'na iştirak etmiştir. Foruma Gürcistan Hükümeti mensupları da katılmışlardır.

Sn. Hacımüftüoğlu ile Gürcistan Savunma Bakanı Sn. Juansher Burchuladze ile bir araya geldi.
Savunma Bakanı Türkiye Cumhuriyeti'nin resmi temsilcisine ülkenin siyasi ve Avrupa-Atlantik entegrasyonu konularındaki desteği ve yardımı için teşekkürlerini sundu.
Görüşmede ülkeler arasında savunma alanındaki verimli işbirliği ve T.C.'nin savunma güçlerinin dönüşüm sürecindeki desteği ele alındı. Görüşmede NATO-Gürcistan temel paketi'nin (SNGP) mühim rolüne ve Türkiye'nin paket girişimlerinin başarıyla uygulanmasına olan katkılarından bahsedildi.
Görüşmede taraflar bölgesel güvenlik konuları ve mevcut zorlukları ele almışlardır. Karadeniz'in güvenlik konusuna özel bir dikkat verildi. Bu bağlamda T.C. ve Gürcistan arasındaki stratejik işbirliğinin önemi belirtildi.
Savunma Bakanı Türkiye Cumhuriyeti Milli Güvenlik Kurulu Genel Sekreteri ile Gürcistan-Türkiye-Azerbaycan üçlü işbirliği formatının önemini vurgulayıp bu yönde ülkeler arasındaki uyumluluğu artırmak için üçlü tatbikatlardan bahsetmişti.

Gürcistan Dışişleri Bakanı Sn. İlia Darchiashvili 22 Haziran'da Sn. Seyfullah Hacımüftüoğlu ile bir araya geldi.
Toplantıda taraflar iki ülke arasında hem ikili hem çoklu formatında başarıyla gelişen stratejik ortaklığın altını çizildi.
Türkiye Milli Güvenlik Kurulu Genel Sekreteri Gürcistan'ın egemenliği ve toprak bütünlüğü, ayrıca Avrupa-Atlantik entegrasyonuna olan desteği bir kez daha ifade etti. Görüşmede bölgedeki güvenlik ortamı, mevcut zorlukları ve bu zorlukları barışçıl bir şekilde çözme yolları ele alındı.
Taraflar bölgenin sürdürülebilir ve istikrarlı kalkınması için Gürcistan ile Türkiye arasındaki işbirliğinin önemi özellikle belirtmişlerdir.
Ekonomi, ticaret, güvenlik ve halklar arası ilişkileri konularında ikili işbirliğini daha da derinleştirme isteği ortaya atılmıştı.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გენერალური მდივანი, გუბერნატორი სეიფულლაჰ ჰაჯიმუფთუოღლუ საქართველოს ეწვია. მან შეხვედრები გამართა საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და მინისტრებთან:

პრემიერ-მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე საუბარი ორ ქვეყანას შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობას და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებს შეეხო. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მისასალმებელია, რომ მთავრობებს შორის არის მზაობა არსებული პარტნიორობის კიდევ უფრო გასაღრმავებლად და გასაძლიერებლად.
ხაზი გაესვა, რომ საქართველო აფასებს თურქეთის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ.
აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ორმხრივი სტრატეგიული პარტნიორობის შემდგომი გაღრმავება, არამხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური, არამედ უსაფრთხოების მიმართულებითაც.
ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და თურქეთს შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობაზე. ხაზგასმით აღინიშნა ამ მიმართულებით ურთიერთქმედების კიდევ უფრო გაძლიერების მნიშვნელობა რეგიონის სტაბილური და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური და თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ალი ქაან ორბაი ესწრებოდნენ.

სეიფულლა ჰაჯიმუფთუოღლუსთან შეხვედრა გამართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა.
შეხვედრაზე მხარეებმა ორ სახელმწიფოს შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ვახტანგ გომელაურმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებულ მჭიდრო და ინტენსიურ თანამშრომლობაზე, ასევე ხაზი გაუსვა თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მნიშვნელოვან როლს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში.
შეხვედრის ფარგლებში, საუბარი ასევე შეეხო ორ სახელმწიფოს შორის საზღვრის დაცვის სფეროში არსებულ თანამშრომლობას, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებს და ამ მიმართულებით თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებს.
შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა კოლეგას მადლობა გადაუხადა საქართველოში ვიზიტისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მხარეთა შორის თანამშრომლობა მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გენერალური მდივანი სეიფულა ჰაჯიმუფთუოღლუ დაესწრო საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმს, სადაც

მონაწილეებს სიტყვით მიმართა. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მთავრობის წევრებმა.

თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გენერალურ მდივანს სეიფულლაჰ ჰაჯიმუფთუოღლუს შეხვდა ასევე საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე.
თავდაცვის მინისტრმა თურქეთის რესპუბლიკის ოფიციალურ წარმომადგენელს ქვეყნის პოლიტიკური, ასევე ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში მხარდაჭერისა და პრაქტიკული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.
შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ქვეყნებს შორის თავდაცვის სფეროში არსებულ პროდუქტიულ თანამშრომლობასა და თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციის პროცესში თურქეთის რესპუბლიკის მხარდაჭერაზე. საუბარი შეეხო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) მნიშვნელოვან როლსა და პაკეტის ინიციატივების წარმატებით განხორციელებაში თურქეთის წვლილს.
შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონული უსაფრთხოების საკითხები და არსებული გამოწვევები მიმოიხილეს. განსაკუთრებული ადგილი დაეთმო შავი ზღვის უსაფრთხოების თემას. ამ კონტექსტში აღინიშნა თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის მნიშვნელობა.
თავდაცვის მინისტრმა თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გენერალურ მდივანთან საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება და ამ კუთხით ქვეყნებს შორის თავსებადობის გაზრდისთვის მნიშვნელოვან სამმხრივ სწავლებებზე ისაუბრა.

22 ივნისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ილია დარჩიაშვილმა, შეხვედრა გამართა სეიფულლაჰ ჰაჯიმუფთუოღლუსთან.
შეხვედრაზე მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორ ქვეყანას შორის არსებულ სტრატეგიულ თანამშრომლობას, რომელიც წარმატებით ვითარდება როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში.
თურქეთის უსაფრთხოების საბჭოს გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, აგრეთვე მისი ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა. საუბარი შეეხო რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გარემოს, მიმდინარე გამოწვევებსა და მათი გადაჭრის მშვიდობიან გზებს.
მხარეებმა განსაკუთრებით აღნიშნეს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის თანამშრომლობის მნიშვნელობა რეგიონის მდგრადი და სტაბილური განვითარებისთვის. გამოითქვა ორმხრივი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მზადყოფნა ეკონომიკის, ვაჭრობის, უსაფრთხოებისა და ხალხთაშორისი კავშირების მიმართულებით.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Sn. Irakli Garibashvili Kazakistan Başbakanı Sn. Alihan İsmailov İle Bir Araya Geldi

ირაკლი ღარიბაშვილი ყაზახეთის პრემიერ-მინისტრ ალიხან სმაილოვს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili Kazakistan Başbakanı Sn. Alihan İsmailov ile bir araya geldi.

Taraflar Gürcistan ile Kazakistan arasındaki dostça ve ortak ilişkilerini ele alıp ileriye dönük işbirliği perspektifleri görüşmüşlerdir.

Görüşmede işbirliğin hem ikili hem çoklu formatlara dikkat verildi.

Geçen sene Başbakan Sn. Irakli Garibashvili'nin Kazakistan ziyareti sonrası iki ülke arasındaki işbirliğinin yepyeni bir seviyeye ulaştığını kaydedildi.

Ticari ve ekonomik ilişkileri yönünde ülkeler arasında var olan olumlu dinamikleri özellikle belirtilmiş olup Kazak yatırımları ve ülkedeki elverişli iş ortamı vurgulandı.

Toplantıda eğitim, ilim, kültür ve spor, bilgi teknolojileri ve ulaşım alanlarındaki işbirliğine değinilip "Orta Koridor"un geliştirilmesinin öneminden bahsedilmiştir.

Başbakanımız Kazakistan tarafına Gürcistan'ın egemenliği ve toprak bütünlüğüne vermiş olduğu desteğinden dolayı teşekkürlerini sundu.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ყაზახეთის პრემიერ-მინისტრ ალიხან სმაილოვს შეხვდა.

მხარეებმა საქართველოსა და ყაზახეთს შორის არსებული მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები მიმოიხილეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს.

ყურადღება დაეთმო როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებს.

ითქვა, რომ გასულ წელს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ყაზახეთში ვიზიტის შემდეგ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა სრულიად ახალ საფეხურზე ავიდა.

განსაკუთრებით აღინიშნა ქვეყნებს შორის არსებული პოზიტიური დინამიკა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით.

ხაზი გაესვა ყაზახურ ინვესტიციებსა და ქვეყანაში შექმნილ ხელსაყრელ ბიზნესგარემოს.

საუბარი შეეხო თანამშრომლობას: განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის, IT ტექნოლოგიებისა და ტრანსპორტის სფეროებში.

ყურადღება დაეთმო „შუა დერეფნის" განვითარების მნიშვნელობას.

პრემიერ-მინისტრმა ყაზახეთის მხარეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Dünya Denizciler Günü

მეზღვაურთა საერთაშორისო დღე

Gürcistan, denizci bir ülke olarak her yıl 25 Hazıran Dünya Denizciler Gününü kutlar.

Sn. Levan Davitashvili Batum'da denizcilik sektörü temsilcilerinin Dünya Denizciler Günü'nü bizzat kutladı.

Sn. Davitashvili kutlama töreninde konuşma yaparken Gürcü denizcilere vatana ve işlerine vefalı oldukları ve görevlerini haysiyetli bir şekilde yerine getirdikleri için teşekkürlerini sunmuştur.

Kutlama törenine Batum merkez parkından başlandı- Batum Devlet Denizcilik Akademisi öğrencileri bando eşliğinde yürüyüş yapmışlardır.

Denizciler Günü kutlamaları çerçevesinde Sn. Levan Davitashvili Denizcilik Akademisi'nin eğitim merkezinde yeni bir simülasyon alanının açılışına katılmıştır.

საქართველო, როგორც საზღვაო ქვეყანა, 25 ივნისს, ყოველწლიურად აღნიშნავს მეზღვაურთა პროფესიულ დღეს.

ლევან დავითაშვილმა მეზღვაურთა საერთაშორისო დღე საქართველოს საზღვაო სექტორის წარმომადგენლებს ბათუმში პირადად მიულოცა.

მან საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას ქართველ მეზღვაურებს მადლობა გადაუხადა ქვეყნისა და საქმისადმი ერთგულებისა და ღირსეული სამსახურისთვის.

საზეიმო ღონისძიებები ბათუმის ცენტრალური პარკიდან დაიწყო - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტთა მსვლელობა სასულე ორკესტრის თანხლებით. ნავმისადგომზე კი მეზღვაურის დღისადმი მიძღვნილი ოფიციალური საზეიმო ცერემონია გაიმართა.

მეზღვაურთა დღის საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, ლევან დავითაშვილი საზღვაო აკადემიის სასწავლო ცენტრში ახალი სასიმულაციო სივრცის გახსნას დაესწრო.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Hükümet Alımları Yoluyla En Çok Para Harcanan İlk 10 Alıcı

ვინ ხარჯავს ყველაზე მეტ თანხას სახელმწიფო შესყიდვების გზით? - TOP-10 შემსყიდველი

2022 yılında hükümet alımlarına ülkenin GSYİH'nın %10.3'ünü oluşturan 7.399 milyar GEL harcandı.
2021'de aynı gösterge 5.7 milyar GEL'i teşkil etmiştir. 2011 yılına kıyasla hükümet alımlarına harcanan para hacmi %2.7 oranında artmış olup 2.6 milyardan 7.4 milyara çıkmıştı. İhale Kurumu'nun verilerine göre, ihaleler yoluyla imzalanan toplam sözleşme değerinin %42'si 2,924,806,74 GEL tutarındaki ilk 10 en büyük alıcı tarafından karşılanmaktadır.

İlk 10 Satın Alma Organizasyonu

1. Karayolları Dairesi - 170 Sözleşme / 1.067 Milyar GEL;
2. Eğitim/Bilimsel Altyapı Geliştirme Ajansı - 191 Sözleşme / 520.28 Milyon GEL;
3. Belediye Kalkınma Fonu - 48 Sözleşme/ 340.5 Milyon GEL;
4. Birleşik Su Temini Şirketi - 89 Sözleşme/ 251.14 Milyon GEL;
5. İç İşleri Bakanlığı- 477 Sözleşme/ 210 Milyon GEL;
6. Tiflis Belediyesi - 265 Sözleşme - 174.16 Milyon GEL;
7. Kentsel Altyapı ve Geliştirme İdaresi - 118 Sözleşme/ 114.78 Milyon GEL;
8. Sosyal Hizmetler Kurumu - 23 Sözleşme/ 105.89 Milyon GEL;
9. Tiflis Nakliyat Şirketi- 175 Sözleşme/ 76.52 Milyon GEL;
10. Doğalgaz Taşıma Şirketi - 26 Sözleşme / 64.07 Milyon GEL;

2022 წელს, სახელმწიფო შესყიდვებზე რეკორდული თანხა 7.399 მლრდ ლარი დაიხარჯა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10.3%-ს შეადგენს.
2021 წელს ეს თანხა 5.7 მილიარდს შეადგენდა. 2011 წელთან შედარებით სახელმწიფო შესყიდვებზე დახარჯული თანხის მოცულობა 2.7-ჯერ გაიზარდა - 2.6 მლრდ-დან 7.4 მლრდ-მდე. შესყიდვების სააგენტოს მონაცემებით, ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების 42%-ს „ტოპ 10“ ყველაზე მსხვილ შემსყიდველზე მოდის, რაც თანხობრივად 2,924,806,74 ლარს უტოლდება.

ტოპ-10 შემსყიდველი ორგანიზაცია

1. საავტომობილო გზების დეპარტამენტი - 170 ხელშეკრულება / 1.067 მლრდ ლარი;
2. საგანმანათლებლო/ სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო - 191

ხელშეკრულება / 520.28 მლნ ლარი;
3. მუნიციპალური განვითარების ფონდი - 48 ხელშეკრულება/ 340.5 მლნ ლარი;
4. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია - 89 ხელშეკრულება/ 251.14 მლნ ლარი;
5. შსს - 477 ხელშეკრულება/ 210 მლნ ლარი;
6. თბილისის მერია - 265 ხელშეკრულება - 174.16 მლნ ლარი;
7. საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო - 118 ხელშეკრულება/ 114.78 მლნ ლარი;
8. სოციალური მომსახურების სააგენტო - 23 ხელშეკრულება / 105.89 მლნ ლარი;
9. თბილისის სატრანსპორტო კომპანია - 175 ხელშეკრულება/ 76.52 მლნ ლარი;
10. გაზის ტრანსპორტირების კომპანია - 26 ხელშეკრულება / 64.07 მლნ ლარი;

Gürcistan Almanya'ya Fındık İhraç Eden İlk 3 Ülke Arasına Girmiş Oldu

საქართველო გერმანიაში თხილის იმპორტიორი ქვეყნების ტოპ-3-ეულში მოხვდა

Alkolsüz İçeceklerin İhracatı %25 Oranında Artış Gösterdi- EFES Georgia

უალკოჰოლო სასმელების ექსპორტი 25%-ით გაიზარდა - "ეფეს საქართველო"

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

Britanya'da Enflasyon Oranı %8.7 Oldu

ბრიტანეთში ინფლაცია 8.7%-მდე გაიზარდა

Gürcistan Ekonomisinin En Hızlı Büyüyen Sektörü Bilişim ve İletişim Sektörüdür

საქართველოს ეკონომიკის ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი IT და კომუნიკაციებია

Tiflis Belediyesi 160 Adet 18 Metrelik Man Otobüsü Satın Alacak

თბილისი Man-ის 18-მეტრიან 160 ავტობუსს იყიდის

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Devlet Yabancı Şirketlerle Toplam 98 Milyon GEL Değerinde Sözleşmeleri İmzaladı

უცხოურ კომპანიებთან სახელმწიფომ ₾98 მილიონის კონტრაქტები გააფორმა

Türkiye'de Yeniden Finansman Oranı %15'e Yükseldi

თურქეთში რეფინანსირების განაკვეთი 15%-მდე გაიზარდა

Natia Turnava Merkez Bankası Genel Müdürü Görevini Sürdürecektir

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობას ნათია თურნავა შეასრულებს

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6282 TRY/GEL – 0.1028 EUR/GEL – 2.8560 GBP/GEL – 3.3436

USD/GEL

19 - 26 Haziran 2023



USD/TR

19 - 26 Haziran 2023

TRY/GEL

19 - 26 Haziran 2023

BTC – 25 847. 6

19 - 26 Haziran 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING